

შედარება ლიტერატურულ ტექსტში და მისი თარგმნის
თავისებურებები (ჯორჯ ორუელის რომანის „ცხოველების ფერმა“
მიხედვით)

თამარ მინდაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უცხო ენათა ფილოლოგიის
(ანგლისტიკა) მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

უცხო ენათა ფილოლოგია(ანგლისტიკა) და შედარებითი ლიტერატურათმცოდნეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო მატარაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

სარჩევი

აბსტრაქტი	3
შესავალი.....	5
თავი 1. მხატვრული შედარება (simile)	
1.1.ენობრივი ექსპრესია და ტროპული მეტყველება.....	7
1.2.მხატვრული შედარება,როგორც ტროპის ერთ-ერთი სახე.....	9
1.3.მეტაფორა და მხატვრული შედარება.....	13
1.4. შედარების გადმოცემის გრამატიკული შესაძლებლობები.....	15
თავი 2. მხატვრული თარგმანის ცნება	
2.1. მხატვრული თარგმანის მეთოდოლოგია.....	20
2.2. ენის როლი თარგმანში.....	25
2.3. .თარგმნის თეორიული ასპექტები.....	28
თავი 3. ტექსტის ანალიზი	
3.1.ნაწარმოების მიმოხილვა.....	33
3.2.მხატვრული შედარების თარგმნა ჯორჯ ორუელის რომანში „ცხოველების ფერმა“.....	36
დასკვნა.....	40
გამოყენებული ლიტერატურა.....	43
საანალიზო წყაროები.....	45

აბსტრაქტი

სამაგისტრო ნაშრომში განხილულია მხატვრული შედარების თარგმნის თავისებურებები ჯორჯ ორუელის რომანის „ცხოველების ფერმა“ ორიგინალისა და ქართული თარგმანის მიხედვით. კვლევის მიზანია შედარების, როგორც ტროპის ერთ-ერთი სახის, სამიზნე ტექსტში გადატანის შესაძლებლობის ანალიზი მოცემულ ტექსტში მთარგმნელის მიერ შერჩეული სტრატეგიების განხილვის საფუძველზე.

ნაშრომში განხილულია თარგმანის და კერძოდ, მხატვრული თარგმანის თეორიული ასპექტები და მხატვრული შედარების როლი და ფუნქცია ტექსტში.

საკითხის აქტუალობას განსაზღვრავს ტროპების და მათ შორის შედარების თარგმნის სირთულე.

საკვლევ მასალად გამოყენებულია მზია კველიძისა და დავით აკრიანის თარგმანები. განხილულია მთარგმნელების მიერ შედარების თარგმნისას გამოყენებული სტრატეგიები.

კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ მთარგმნელებს ძირითადად უცვლელი სახით გადმოაქვთ მხატვრული შედარება სამიზნე ტექსტში. ისინი ერთმანეთისაგან განსხვავებული ხერხებით ცდილობენ გადმოსცენ ორიგინალის ემოცია და განწყობა,.

Abstract

The thesis deals with the translation of simile in George Orwell's novel "Animal Farm". The research aims to analyse the strategies used by translators in rendering similes from the source text to the target text according to two Georgian translations by Mzia Kekelidze and David Akriani.

In the theoretical section of the thesis I examine theoretical aspects of translation and the importance of the role of simile in the text.

The relevance of the study is determined by the difficulty of translating similes.

The results of the research show that the majority of similes are basically unchanged in the target text. Translators use different methods to convey emotion, which is an important factor in translation.